ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2024 წლის 27 მაისი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7, მე-8 პუნქტების საფუძველზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის №33 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 20/12/2023, 190020020.35.158.016616) დამტკიცებულ დანართ №1-ში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „თ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) მომვლელის (დედ-მამის/მეურვის) გარეშე დარჩენილ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ვერ გადაადგილდებიან დამოუკიდებლად (ეტლით მოსარგებლეები) და საჭიროებენ მომვლელს – 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.“.

2. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „კ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით მოსარგებლე ბენეფიციარებმა – მშობლების გარდაცვალების მოწმობები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი მირიანაშვილი**